GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 08 – 15 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.9%

Hükümetin Krize Karşı Mücadele Planı
მთავრობის ანტი კრიზისული გეგმა

Gürcistan Hükümetler Arası Koordinasyon Konseyi, ülkedeki kısıtlamaların kademeli olarak kaldırılması yönünde çalışmaya devam ediyor. Konsey kararıyla, 22 Mayıs'tan sonra olağanüstü hal artık uzatılmayacak; 18 Mayıs, Pazartesi itibarıyla güzellik salonları ve estetik merkezleri açılacak; kapalı hem açık alanlarda 3 kişinin toplanmasına ilişkin kısıtlama da kaldırılacaktır, ancak otomobille 3'ten fazla kişinin (sürücü dahil) hareket yasağı halen yürürlüktedir ve 10'dan fazla kişinin toplama yasağı yürürlüktedir.

საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის კუთხით აგრძელებს მუშაობას. საბჭოს გადაწყვეტილებით, 22 მაისის შემდგომ საგანგებო მდგომარეობა აღარ გახანგრძლივდება; 18 მაისიდან, ორშაბათიდან, გაიხსნება სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები; აგრეთვე მოიხსნება დაწესებული შეზღუდვა - 3 ადამიანის შეკრების თაობაზე, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეებში, თუმცა ავტოსატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილების აკრძალვა ძალაში რჩება. ასევე ძალაში რჩება აკრძალვა 10-ზე მეტი ადამიანის შეკრების შესახებ. მოხსნილია შეზღუდვა რუსთავსა და გარდაბანში შესვლა-გამოსვლაზე, 18 მაისიდან კი აღნიშნული შეზღუდვა მარნეულშიც მოიხსნება.

Başbakan ayrıca turizm sektöründe planlanan süreçlerin tartışmak üzere çalışma toplantısı gerçekleştirdi. Hatırladığınız üzere, 15 Haziran'dan itibaren Gürcistan'da yerel turizm açılacak, 1 Temmuz'dan itibaren ise ülke yabancı turistlerin ağırlamayı başlayacak. Toplantıda İsrail, Avusturya, Çek Cumhuriyeti, Macaristan, Polonya ve Baltık devletleri ile güvenli koridorların oluşturulması ile ilgili müzakerelerin aktif bir aşamada olduğu kaydedildi. Bu konuda elçilikler gerekli talimatlar almıştır ve çeşitli ülkelerin ilgili kurumlarıyla çalışmayı aktif olarak devam ediyorlar.

პრემიერ მინისტრმა ასევე გამართა სამუშაო შეხვედრა ტურიზმის სექტორში დაგეგმილი ღონისძიებების განხილვის მიზნით. რამდენადაც გახსოვთ 15 ივნისიდან საქართველო გაიხსნება ადგილობრივი ტურიზმის სერვისების მიწოდებისთვის, ხოლო 1-ლი ივლისიდან

საქართველო მზად იქნება უცხოელი ტურისტების მისაღებად. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უსაფრთხო დერეფნების შექმნაზე მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია ისრაელთან, ავსტრიასთან, ჩეხეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ბალტიის ქვეყნებთან. საელჩოებს მიღებული აქვთ შესაბამისი ინსტრუქციები და ისინი სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან ამ მიმართულებით აქტიურ კომუნიკაციას განაგრძობენ.

Gürcistan Turizm İdaresi'ne göre, 20'den fazla uluslararası havayolu şirketi, 1 Temmuz'dan itibaren Gürcistan'a kademeli olarak uçuşların yeniden başlamaya ilgi ve hazır olduğunu ifade etmişler. Yeşil bölgeler olarak tanımlanan turizm bölgelerine zorunlu teknik detaylar ve standartlar haftaya sunulacak.

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მონაცემებით, 20-ზე მეტმა საერთაშორისო ავიაკომპანიამ უკვე გამოთქვა ინტერესი და მზადყოფნა, საქართველოში ფრენა 1-ლი ივლისიდან, ეტაპობრივად აღადგინოს. მწვანე ზონებად განსაზღვრულ ტურისტულ ზონებს კი სავალდებულო ტექნიკური დეტალები და სტანდარტები მომავალ კვირას წარედგინება.

Krize karşı mücadele planı çerçevesinde Gürcistan Tarım Bakanı Sn. Levan Davştaşvili tarım sektörün destekleme programı sundu.
ანტი კრიზისული გეგმის ფარგლებში კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა წარადგინა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამა:



- Finans destek – Agro Kartı / მხარდაჭერა ფინანსური სახსრებით - აგრო ბარათი:
  - 10 hektar için 2000 Lari / 2000 ლარი 10 ჰექტარზე
  - 1 hektar için 200 Lari / 200 ლარი 1 ჰექტარზე
  - 1 hektardan daha az arazi için – oransal yardım / 1 ჰექტარზე ნაკლებ მიწაზე - პროპორციულად

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

- Hektar başında 150 litre dizel - Piyasa değerinden 1 GEL daha az fiyatla / 150 ლიტრი დიზელი 1 ჰექტარზე - საბაზრო ღირებულებაზე 1 ლარით ნაკლებ ფასად!
- Meliorasyon (sulama) borçları sıfırlandı ve 2020 yılın vergisinden muaf tutulacak / ნულდება სამელიორაციო დავალიანებები და თავისუფლდება 2020 წლის გადასახადისგან!
- Uluslararası standartların getirilmesi için 15.000 GEL'e kadar hibe / 15 000 ლარამდე გრანტი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისთვის!
- Yerel Süt endüstrisinin geliştirmek için %80 hibe / 80% გრანტი ადგილობრივი მერძევეობის დარგის განვითარებისთვის!
- 3 yıllık agro sigortası için %70 eş finansmanı / 70% თანადაფინანსება 3 წლიან აგრო დაზღვევაზე!
- Tarımsal üretimi ve damlama sistemlerinin düzenlenmesi için %50 hibe / 50% გრანტი აგრო წარმოებისთვის და წვეთოვანი სისტემების მოწყობისთვის!
- Agro krediler için %17'ye kadar eş finansmanı / 17%-მდე თანადაფინანსება აგრო სესხებზე!

https://bit.ly/36d8Br3

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Asya Kalkınma Bankası (ADB), korona virüsünün dünya ekonomisine etki konusunda rapor (https://bit.ly/2Z4qMgN) yayınladı. Raporda, yeni korona virüs salgının bir sonucu olarak dünya ekonomisi 5.8 – 8.8 trilyon dolar zarar edebileceği belirtiliyor ve bu rakam dünya gayri safi yurtiçi hasılasının %6.4 - %9.7 teşkil ediyor. Rapor, virüsün yayınlaması karşı alınan tedbirler – sınırların kapatılması, seyahat kısıtlamaları ve karantina, kısa ve uzun vadeli senaryolarda, dünya ticaretini 1.7 den 2.6 trilyon dolara kadar düşüreceğini tahmin ediyor. İstihdam, dünya çapında 158-dan 242 milyon iş yere kadar azaltılacak. Tarımsal gelirlerdeki düşüşleri 1.2-den 1.8 trilyon dolara kadar bekleniyor.

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) მსოფლიო ეკონომიკაზე კორონა ვირუსის ზეგავლენის შესახებ ანგარიში (https://bit.ly/2Z4qMgN) მოამზადა. ანგარიშში ნათქვამია, რომ მსოფლიო ეკონომიკამ ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შესაძლოა 5.8-დან 8.8 ტრილიონ აშშ დოლარამდე იზარალოს, რაც მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 6.4%-დან 9.7%-მდეა. ანგარიში განმარტავს, რომ ვირუსის შეკავების მოკლე და გრძელ სცენარებში საზღვრების ჩაკეტვა, სამგზავრო შეზღუდვები და კარანტინი, მსოფლიო ვაჭრობას სავარაუდოდ 1.7-დან 2.6 ტრილიონ აშშ დოლარამდე შეამცირებს. დასაქმება მსოფლიოს მასშტაბით შემცირდება 158-დან და 242 მილიონამდე სამუშაო ადგილით. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლის შემცირება 1.2-დან 1.8 ტრილიონ აშშ დოლარამდეა მოსალოდნელი.

Salgın koşulları altında, Gürcistan'ın dış ticareti önemli ölçüde azaltmıştır. Gürcistan Milli İstatistik Kurumun Express verilerine göre 2020 yılı Ocak-Nisan döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 3 463.5 milyon ABD doları teşkil etmiştir ve ru rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %11.8 ile daha azdır. İhracat 1 001.3 milyon ABD dolar (düşüş oranı %11.9), ithalat ise – 2 462.2 milyon ABD doları (düşüş oranı %11.8) olmuştur. Negatif ticaret bilançosu 1 460.8 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 42.2 teşkil etmiştir. Turizm sektöründeki göstergeler aynı şekilde düşmüştür. 2020 yılın

ilk çeyreğinde Gürcistan'da 1.3 milyon yabancı turist gelmiş ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerin göre %17.6 ile daha azdır.

პანდემიის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საგარეო ვაჭრობა. სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ექსპრეს მონაცემების მიხედვით 2020 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 463.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 11.8 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 1 001.3 მლნ. აშშ დოლარი იყო (11.9 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2 462.2 მლნ. აშშ დოლარი (11.8 პროცენტით ნაკლები). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-აპრილში 1 460.8 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.2 პროცენტი შეადგინა. ასევე შემცირდა მაჩვენებლები ტურისტულ სექტორში. 2020 წლის I კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 1.3 მილიონი შემოსვლა, რაც 17.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 4 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı 4 543 323, vefat eden kişi sayısı – 303 709, iyileşen kişi sayısı – 1 713 302. En çok vaka sayısı ABD, İspanya, Rusya, Birleşik Krallık ve İtalya'da görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 4 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 4 543 323 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 303 709 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 1 713 302 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, ესპანეთს, რუსეთს, გაერთიანებულ სამეფოს და იტალიას ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.



AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	1,457,593	86,912	318,027	1,052,654
İspanya / ესპანეთი	272,646	27,321	186,480	58,845
Rusya / რუსეთი	262,843	2,418	58,226	202,199
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	233,151	33,614	N/A	N/A
İtalya / იტალია	223,096	31,368	115,288	76,440
Brezilya / ბრაზილია	203,165	13,999	79,479	109,687
Fransa / საფრანგეთი	178,870	27,425	59,605	91,840
Almanya / გერმანია	174,975	7,928	151,700	15,347
Türkiye / თურქეთი	144,749	4,007	104,030	36,712
İran / ირანი	114,533	6,854	90,539	17,140
Gürcistan / საქართველო	671	12	393	266
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	4,543,323	303,709	1,713,302	2,526,312

İşyerinde Yeni Korona virüsün Yayılmasını Önlemek İçin Öneriler
რეკომენდაციები სამუშაო ადგილებზე კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის

Gürcistan Mülteciler, Çalışma, Sağlık ve Sosyal Savunma Bakanlığı, iş yerlerinde yeni korona virüsün yayılmasını önlemek için özel öneriler geliştirdi ve onayladı. Sektörlere göre Bakanlık tarafından onaylanan önerilere (Gürcüce) aşağıdaki bağlantılardan ulaşabilirsiniz.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა სპეციალური სავალდებულო რეკომენდაციები სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. სექტორების მიხედვით დამტკიცებული რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილი ბმულების საშუალებით.

1. Genel öneriler / ზოგადი რეკომენდაციები: https://adobe.ly/2y8EhRI
2. İnşaat sektörü için / სამშენებლო სექტორისთვის: https://adobe.ly/3dQyrnk
3. Oteller ve otel personeli için / სასტუმროს პერსონალისა და სასტუმროებისთვის: https://adobe.ly/2LtTkZb

4. Hizmet sektörü için (bankalar, mağazalar, marketler)/ მომსახურების სექტორისთვის (ბანკები, სავაჭრო ობიექტები): https://adobe.ly/3dOHkO8
5. Taşımacılık sektörü için / სატრანსპორტო სექტორისთვის: https://adobe.ly/363ETnW
6. İşleme endüstrisi için / დამამუშავებელი მრეწველობისთვის: https://adobe.ly/3cLIERT
7. Yayıncılık faaliyetleri için / საგამომცემლო საქმიანობისთვის: https://adobe.ly/2LuPqzh
8. Çalışanların taşınması (servis) için / დასაქმებულთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით: https://adobe.ly/367WMSL
9. Ofis faaliyetleri için / საოფისე საქმიანობისთვის: https://adobe.ly/3dMzrsl
10. Tarım sektörü için / სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის: https://adobe.ly/2Wwkmpa
11. İmalat sektörü için / წარმოების სექტორისთვის: https://adobe.ly/2T51XxG
12. Kurye (Delivery) hizmetleri için / მიტანის მომსახურების საქმიანობისთვის: https://adobe.ly/36cQjpT

Yasa Değişikliği

საკონონმდებლო ცვლილება

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanan makalesini bilgilerinize sunarız.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

05 Mayıs 2020 tarihinde Gürcistan Adalet Bakanı tarafından yeni korona virüs (COVID-19) yayınlamasının önlemesi maksadıyla kamu kurum – Milli Sicil Ajansı tarafından hizmet verebilme kuralları ve şartlarının belirlemesi hakkında emirde değişikliği yapılmıştır.
Ajans hizmetleri yine uzaktan my.gov.ge vatandaş portal vasıtasıyla kullanabilir ve alınabilir, ama değişikliğe istinaden ajans dokümanların ve dilekçelerin teslim alınmasından yükümlüdür. Ajans hizmeti talebi üzere dilekçelerin ve dokümanların teslim edilmesi için ilgili kişi tarafından my.gov.ge vatandaş portal aracılığıyla görüşmenin zamanı ve sırasının belirlenmesi gerekmektedir
2020 წლის 05 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ბრძანება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ. სააგენტოს სერვისებით სარგებლობა და მომსახურების მიღება კვლავ შესაძლებელია

დისტანციურად, მოქალაქის პორტალის my.gov.ge-ს საშუალებით, თუმცა ცვლილების მიხედვით სააგენტო უფლებამოსილია განცხადებები და დოკუმენტაცია მატერიალური სახითაც მიიღოს. სააგენტოს მომსახურების მოთხოვნით განცხადებებისა და დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენისთვის აუცილებელია დაინტერესებული პირის მიერ მოქალაქის პორტალის: my.gov.ge-ს საშუალებით ვიზიტის დროის განსაზღვრა და რიგის დაჯავშნა.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (15.05.2020)

USD/GEL – 3.2033 TRY/GEL – 0.4600 EUR/GEL – 3.4586 GBP/GEL – 3.9138

GEL/USD

08 – 15 Mayıs 2020

TRY/USD

08 – 15 Mayıs 2020

TRY/GEL

08 – 15 Mayıs 2020